# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

## ახალი წიგნის პრეზენტაცია თესალონიკში

2 მარტს, ქ. თესალონიკში, თეატრ „ვაფოპულიოს“ დარბაზში გაიმართა ეთნიკურად ბერძენი თანამემამულის - ვალიდა ბუდაკიდუსა და ალექსანდრე ბურჯანაძის წიგნის - „ტემეტერონის“ („პონტიადა“) პრეზენტაცია. საღამოს ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლები, თესალონიკის ქართული თეატრალური დასის წევრები, ქართული და ისტორიული (ბერძნული) დიასპორის წარმომადგენლები.

საღამო მიმდინარეობდა მუსიკალური გაფორმების თანხლებით - შესრულდა როგორც კლასიკური ნაწარმოებები, ასევე, ქართული ხალხური სიმღერები. დარბაზის მონიტორზე ერთმანეთს ენაცვლებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ულამაზესი ხედები. გამომსვლელებმა წაიკითხეს ნაწყვეტები ახლადგამოცემული ნაწარმოებიდან.

## დედის დღის ზეიმი სტამბოლში

3 მარტს, ქ. სტამბოლში, შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრში, დედის დღე იზეიმეს. საზეიმო ღონისძიებაზე, მარინა ხუჭუამ და ორჰან ბერიძემ დიასპორის წარმომადგენლებისათვის ლექსები წაიკითხეს, ლელა შაყლაძემ და ნატალია შელიამ კი ქართული სიმღერები შეასრულეს. ქართული ჰანგების თანხლებით, საქართველოზე საუბრები გაიმართა, ხოლო ღონისძიების მონაწილე ქალბატონებმა ოვაციები დაიმსახურეს. ზეიმის დასასრულს, ცენტრის და ემიგრანტი დედების სახელით, თურქეთში მცხოვრებ ემიგრანტს ელა მაჩურიშვილს, თანამემამულეებისათვის გაწეული დახმარებისა და განსაკუთრებული ღვაწლისათვის, საჩუქრად შოთა რუსთაველის პორტრეტი გადაეცა.

## ქართული კონცერტი ბარსელონაში

3 მარტს, ქ. ბარსელონაში გაიმართა კონცერტი სახელწოდებით „მსოფლიო ხალხთა მეგობრობა“. კონცერტის ორგანიზატორი იყო ქ. ბარსელონაში არსებული ქართული კულტურის ცენტრი - “EuroGeorgia Barcelona’’. კონცერტში მონაწილეობა მიიღო კულტურის ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,საქართველო’’-მ და ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,თაობა’’-მ.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო


## დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი ბარსელონაში

4 მარტს, ბარსელონას წმიდა ნინოს სახელობის სამრევლოსთან არსებული „სულიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრის“ დარბაზში, ახლად დაარსებული ფორტეპიანოს კლასის მოსწავლეებმა, რომლის ხელმძღვანელია წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის პედაგოგი მაია გუბელაძე, დედის დღისადმი მიძღვნილი სადებიუტო კონცერტი წარმოადგინეს. საღამოზე შესრულდა კლასიკური მუსიკის ნაწარმოებები და დედებისადმი მიძღვნილი ქართული საესტრადო სიმღერები.

## დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ოდესაში

3 მარტს, ოდესაში, ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის „ივერია“ და ქ. ოდესაში საქართველოს საკონსულოს ორგანიზებით, დედის დღე აღინიშნა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქართული საკვირაო სკოლის „ანა-ბანა“ აღსაზრდელებმა, პედაგოგებმა, მშობლებმა და საკონსულოს თანამშრომლებმა. საკვირაო სკოლა „ანა-ბანას“ მოსწავლეებმა წარმოსთქვეს ლექსები ქართულ და უკრაინულ ენებზე, ხოლო სკოლასთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლმა შეასრულა ქართულ-უკრაინული სიმღერები.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო


## ტორონტოს ქართულ ბაგა-ბაღს საქართველოს ელჩი ეწვია

7 მარტს, საქართველოს ელჩი კონსტანტინე ქავთარაძე ტორონტოში ახლახანს გახსნილ ქართულ ბაგა-ბაღს ეწვია. ბაღი ტორონტოს ნორს-იორკის რაიონში მდებარეობს, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ საქართველოდან ემიგრირებული ჩვენი თანამემამულეები. ბაგა-ბაღი ტორნოტში მცხოვრებმა თანამემამულემ თამარ ალთუნაშვილმა გახსნა. კონსტანტინე ქავთარაძე ბაღის აღმრზდელებს და აღსაზრდელებს შეხვდა და ესაუბრა. ამჟამად ქართულ ბაღში 10 ბავშვი ირიცხება. თამარ ალთუნაშვილი და ბაღის აღმრზდელები - ელზა ბოტკოველი და მერი ალთუნაშვილი - ბავშვებისთვის ქართულ გარემოს ქმნიან. პატარები ქართულ ლექსებს სწავლობენ და ერთმანეთთან ქართულად საუბრობენ.

საუბარი შეეხო პრობლემებსაც, მაგალითად, ბაღს ქართულენოვანი დამხმარე მასალები, საბავშვო წიგნები, სახელმძღვანელოები და, რაც მთავარია, შესაბამისი ფართი ესაჭიროება. კონსტანტინე ქავთარაძემ დახმარება აღუთქვა ბაღის დირექტორს და  გადაწყდა, რომ საელჩო ეცდება ამ საკითხების მოგვარებას.

შეხვედრის დასასრულს, ელჩს სამახსოვროდ გადაეცა ბაღის აღსაზრდელების მიერ შესრულებული ნახატი. შეხვედრას ასევე ესწრებოდა კონსული ნატალია კორძაია.

## საელჩომ კანადაში მცხოვრებ ქართველ ქალებს 8 მარტი მიულოცა

8 მარტს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავთან და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კანადაში საქართველოს საელჩომ ტორონტოში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ქალებისთვის ქართული საღამო გამართა. ელჩმა კონსტანტინე ქავთარაძემ ტორონტოს ქართულ რესტორან „არაგვში“ უმასპინძლა საზეიმო მიღებას, რომელსაც დიასპორის წევრების გარდა, კანადური ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ელჩმა საზეიმოდ გახსნა ამ დღისთვის მომზადებული ფოტოგამოფენა „50 ქალი საქართველოდან“, რომელიც XIX-XX საუკუნის გამოჩენილ მწერალ, მეცნიერ, ხელოვან, საზოგადო მოღვაწე ქართველ ქალებს ეძღვნება.

კონსტანტინე ქავთარაძემ მოწვეული სტუმრებისათვის გამართა პრეზენტაცია საქართველოს ისტორიაში ქართველი ქალის როლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ქალები, ტრადიციულად, აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის საერო და სულიერ ცხოვრებაში. „მედეას მითიური ფიგურა, შუშანიკი, წმინდა ნინო, თამარ მეფე, ქეთევან წამებული, XIX-XX საუკუნეში მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი ქართველი ქალები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, XX საუკუნის მეცნიერები, მწერლები, პოეტები, სპორტსმენები - თითოეული მათგანი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, მსოფლიო ისტორიის ნაწილია“ - აღნიშნა ელჩმა.

საქართველოს პირველ რესპუბლიკაზე საუბრისას, კონსტანტინე ქავთარაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში ქალებს ეროვნული კრების წევრებად ირჩევდნენ მაშინ, როდესაც ევროპის სხვა ქვეყნებში ქალებს არჩევნებში არათუ მონაწილეობის, ხმის მიცემის უფლებაც არ ჰქონდათ.

პრეზენტაციის შემდეგ, ელჩმა უმასპინძლა მიღებას, სადაც მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული კერძები და ღვინო.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

## ქეთევან ქემოკლიძის და გიორგი ანდღულაძის ტრიუმფი ისრაელში

9-23 მარტს, ქ. თელ-ავივის ოპერის თეატრმა უმასპინძლა ჯუზეპე ვერდის „დონ კარლოსის" განახლებულ წარმოდგენას, რომელშიც მთავარ პარტიებს ასრულებდენენ საერთაშორისო აღიარების ორი ქართველი მომღერალი, ქეთევან ქემოკლიძე და გიორგი ანდღულაძე, რომლებიც პირველად იდგნენ თელ-ავივის ოპერის სცენაზე და, მიუხედავად ამისა, მათ ისრაელის მსმენელისა და მედიის დიდი მოწონება დაიმსახურეს. ამ ტრიუმფს ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ წარმოდგენას დირიჟორობდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიწვეული მხატვრული ხელმძღვანელი, მსოფლიოში ცნობილი მაესტრო დანიელ ორენი.

მას შემდეგ, რაც ოპერის მოყვარულებმა მოისმინეს ქეთევან ქემოკლიძის მიერ შესრულებული „ებოლის" პარტია, კონტრაქტით გათვალისწინებული სამი წარმოდგენის ნაცვლად, შვიდი სპექტაკლის შესრულება შესთავაზეს. საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები კი თვითმხილველები გახდნენ იმ დიდი ოვაციებისა და აღფრთოვანების, რომელიც ქართველი ხელოვანების მიმართ გამოხატა აუდიტორიამ.

18 მარტს, მორიგი სპექტაკლის დასრულების შემდეგ, საელჩოს თანამშრომლები დაესწრნენ ქართველი მომღერლების შეხვედრას ისრაელელ პროფესიონალებთან - მუსიკის კრიტიკოსებთან და ჟურნალისტებთან. სტუმრებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ ქართველმა საოპერო შემსრულებლებმა საერთაშორისო პოპულარობა მოიხვეჭეს და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სცენებზე მთავარ პარტიებს ასრულებენ, რაც ქართული კულტურის, კერძოდ კი საოპერო ხელოვნების დიდი აღიარებაა.

## საერთაშორისო ფესტივალი ვალენსიაში ქართველებმა გახსნეს

11 მარტს, ვალენსიის რეგიონის ქ. ნუსიაში ადგილობრივი მერიის ორგანიზებით გაიმართა მე-5-ე საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა წარმოჩენას, პოპულარიზაციას და ინტეგრაციას ემსახურება. წელს ფესტივალი ქ. ალიკანტეში არსებული ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა გახსნეს და ქართული ცეკვითა და სიმღერით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე.

## „ოქროს საწმისის" წარმატებები ნიუ იორკში

11 მარტს, ნიუ იორკში, გაიმართა საერთაშორისო ტურნირი New York Open, რომელშიც 19 ქვეყნის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, მათ შორის, ნიუ იორკში არსებული კლუბის „ოქროს საწმისის" – „Golden Fleece" ნაკრები გუნდიც, რომელსაც ამერიკაში 2010 წლიდან მოღვაწე, ამერიკის ჩემპიონი და მრავალი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული კაპიტონ ჯანაშია და ასევე საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი დავით ჯაფარიძე ხელმძღვანელობენ. კლუბში ქართველი და ამერიკელი ბავშვები ერთად ვარჯიშობენ. თავად კაპიტონ ჯანაშია ქუთაისის კარატე სკოლის აღზრდილია, რომელსაც კარატეს

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დამსახურებული და ცნობილი ოსტატი ვაჟა უნგიაძე ხელმძღვანელობს. ვაჟა უნგიაძე და მისი აღსაზრდელები 17 ქვეყნის 850 მონაწილესთან ერთად ასპარეზობდნენ თბილისის საერთაშორისო ღია ჩემპიონატზე „Tbilisi Open“, რომელსაც დაესწრო და მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ. აღსანიშნავია, რომ ბატონ მინისტრს საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის სახელით, პრეზიდენტმა კახა ბასილიამ იაპონური ხმალი „კატანა“ გადასცა.

ნიუ იორკის ჩემპიონატზე კლუბის ახალგაზრდა სპორტსმენებმა წარმატებულად იასპარეზეს: 7 ოქროს, რამდენიმე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს, საერთო ჯამში კი 15 მედალი მოიპოვეს. თავი განსაკუთრებით გამოიჩინა ახალგაზრდა კარატისტმა სანდრო ჯოლიამ.

## შეხვედრები ქართულ დიასპორასთან აშშ-ში

14-22 მარტს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზვიად გონაძემ, აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრები, კერძოდ კი ნიუ იორკში, პენსილვანიასა და ნიუ ჯერსიში არსებულ დიასპორულ ორგანიზაციებთან. მინისტრის მოადგილე შეხვდა ასოციაცია „თვისტომის“ პრეზიდენტს ნიკოლოზ ჩხეიძეს, ასოციაცია „გელანის“ პრეზიდენტს გელა გელაშვილს, ბრუკლინში ქართული ჭიდაობისა და ძიუდოს კლუბის დამფუძნებელ დავით ფრანგიშვილს და კარატეს სკოლის დამფუძნებლ ანტონ ჯღამაძეს. შეხვედრებს ესწრებოდნენ ქ. ნიუ იორკში საქართველოს გენერალური კონსული დიანა ჟღენტი და თანამშრომლები - ვახტანგ გოგსაძე და გიორგი კოღუაშვილი. შეხვედრებზე განიხილებოდა ქართული დიასპორისთვის აქტუალური საკითხები და პროექტები.

## „Dancing Crane Company“ – „მოცეკვავე წერო“ - 22 წლისაა

17 მარტს, ზვიად გონაძე დაესწრო ნიუ იორკში მოქმედი ქართული კულტურის ცენტრის „Dancing Crane Company“ დაარსების 22 წლის იუბილესა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გალა კონცერტს.

„მოცეკვავე წეროს“, დაარსებიდან, სათავეში ამერიკელი ვიქტორ სირელსონი და მისი მეუღლე ლიკა სირელსონ-ბახტურიძე უდგანან.

კონცერტი მანჰეტენზე, *THE KAYE PLAYHOUSE*-ის სცენაზე გაიმართა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზვიად გონაძემ და ქ. ნიუ იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა დიანა ჟღენტმა.

ზვიად გონაძემ იუბილარ ორგანიზაციას დაარსების 22 წლისთავი მიულოცა და ისაუბრა ქართული დიასპორის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

## მინისტრის მოადგილის შეხვედრები დიასპორულ ორგანიზაციებთან

17 მარტს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზვიად გონაძე, საქართველოს გენერალური კონსული ნიუ იორკში დიანა ჟღენტი და ვიცე კონსული ნინო გაჩეჩილაძე, პენსილვანიის შტატში წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართულ კულტურულ ცენტრთან არსებულ ცეკვის ანსამბლს ესტუმრნენ. მოინახულეს ქართული მართმადიდებელი ეკლესიის ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსის რეზიდენცია ქ. ფილადელფიაში და იქ მოქმედი საკვირაო სკოლა. მინისტრის მოადგილე დაესწრო ეკლესიასთან არსებულ ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის საჩვენებელ გაკვეთილს, შეხვდა საკვირაო სკოლის მოსწავლეების მშობლებს, ისაუბრა სამინისტროს პრიორიტეტებზე და უპასუხა მათ შეკითხვებს, ბავშვებს კი საჩუქრად ქართული წიგნები გადასცა.

18 მარტს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზვიად გონაძე, საქართველოს გენერალური კონსული ნიუ იორკში დიანა ჟღენტი და ვიცე კონსული ნინო გაჩეჩილაძე ესტუმრნენ ნიუ ჯერსის შტატში, წმიდა გრიგოლ ხანძთელის ეკლესიასთან არსებულ ანსამბლ "იბერიელებს", რომელსაც ქორეოგრაფი გოჩა მაღლაკელიძე ხელმძღვანელობს. ანსამბლის მოცეკვავეები კონცერტით წარდგნენ სტუმრების წინაშე.

იმავე დღეს, 18 მარტს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზვიად გონაძე და საქართველოს გენერალური კონსული ნიუ იორკში დიანა ჟღენტი, წმიდა გრიგოლ ხანძთელის ეკლესიასთან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლას „ლაზარე“ ეწვივნენ, სადაც მინისტრის მოადგილე ესაუბრა სკოლის პედაგოგებს არსებული საჭიროებებისა და მათთვის საინტერესო თემებზე, უპასუხა დასმულ შეკითხვებს, მადლობა გადაუხადა მათი საქმიანობისათვის, ბავშვებს კი საჩუქრად ქართული წიგნები გადასცა. ჩატარდა ღია გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

20 მარტს, ზვიად გონაძე დაესწრო ქ. ნიუ იორკის ქართული კულტურის ცენტრის „ფესვები“ საჩვენებელ გაკვეთილს. ორგანიზაციას შორენა ბარბაქაძე და ვანო გოდერძიშვილი ხელმძღვანელობენ. კულტურის ცენტრი „ფესვები“ 2001 წელს დაარსდა და აერთიანებს საკვირაო სკოლას, ვოკალურ გუნდს და ცეკვის ანსამბლს, რომელიც დაყოფილია მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ცენტრში ასამდე ქართველი ემიგრანტი ბავშვია გაერთიანებული. მინისტრის მოადგილე შეხვდა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, პედაგოგებს - განიხილეს ცენტრის მიღწევები და საჭიროებები.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

20 მარტს, ზვიად გონაძე ქ. ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და წარმომადგენლებს შეხვდა: მარუსია ჭავჭავაძეს, American Friends of Georgia - „საქართველოს ამერიკელი მეგობრების“ აღმასრულებელ დირექტორს; მამუკა წერეთელს, American Georgian Business Council პრეზიდენტს; ვლად ბრეგვაძეს, Georgian Center - „ქართული ცენტრის“ ხელმძღვანელს და წევრს - ვერონიკა მეტონიძეს; თამარ კალანდიას, The Academy of Georgian Heritage - „ქართული კულტურული მემკვიდრეობის აკადემიის“ ხელმძღვანელს; პაპუნა ლეჟავას - მსოფლიო ბანკიდან (IFC); მამა პავლე ზაქარაიას, ვაშინგტონში არსებული ქართული ეკლესიის წინამძღვარს; ვასილ ჯაიანს, Georgian Thursday - „ქართული ხუთშაბათის“- შეხვედრების ორგანიზატორს; დავით სუმბაძეს, კვლევითი ორგანიზაცია Central Asia-Caucasus Institute and the Silk Road Studies. შეხვედრა საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა და მას აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე, მისი მეუღლე ანა მაცუკაშვილი, დესპანი გიორგი ციკოლია და კონსული გიორგი არჩემაშვილი ესწრებოდნენ.

## შეხვედრა პრაღაში პოეტ დათო მაღრაძესთან

14 მარტს, პრაღაში, საქართველოს საელჩოში შედგა პოეტ დათო მაღრაძის შეხვედრა ჩეხეთში სასწავლებლად მყოფ ქართველ სტუდენტებთან და ქართველ ემიგრანტებთან.

პოეტმა წაიკითხა ლექსები ახალი კრებულიდან, ისაუბრა თავის მომავალ გეგმებზე.

პოეზიის საღამო დასრულდა სასიამოვნო დისკუსიით.

ორგანიზაცია „ივერია“, ჩეხეთში ქართული სათვისტომოს სახელით, მადლობას უხდის საქართველოს საელჩოს საინტერესო საღამოს ორგანიზებისთვის.

## ქართული ანბანისა და კალიგრაფიის კონკურსი ფრანკფურტში

17 მარტს, ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალურ საკონსულოში, გაიმართა ქართული ანბანისა და კალიგრაფიის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ფრანკფურტში მოქმედი ორგანიზაცია „ქართული კულტურის ფორუმთან“ არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეები.

კონკურსის მონაწილეები სიგელებით დააჯილდოვა საქართველოს გენერალურმა კონსულმა იოსებ ჩხიკვიშვილმა.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

## ლექსების კრებულის პრეზენტაცია თესალონიკში

17 მარტს, თესალონიკში, ქართულ კაფე-რესტორან „დაისში“ ჩატარდა ემიგრანტი ქალბატონის ნანა (ნანი) კბილაშვილის ლექსების კრებულის „აცრემლებული ბალადა“ პრეზენტაცია. წიგნი გამოიცა თამარ-ლეილა სოლოღაშვილ-სეფაშვილის რედაქტორობით. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს გენერალური კონსული თესალონიკში მუხრან გულაღაშვილი, პროტოპრესვიტერი მამა გიორგი მათურელი და თესალონიკის ქართული დიასპორის წარმომადგენლები. საზეიმო ღონისძიება საკმაოდ თბილ და ხალისიან ვითარებაში წარიმართა.

ასოციაცია „ემიგრანტი დედის“ სახელით ნანა კბილაშვილს გადაეცა სპეციალურად დაწესებული პრიზი და სიგელი - „ქართულ დიასპორასთან აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის“. პრეზენტაციის დასასრულს, რომელსაც უძღვებოდა ლიტერატორი შორენა ადამაშვილი, გაიმართა ქართული სიმღერების და ცეკვების მცირე წარმოდგენა.

## ქეითი რუთ დეივისის წიგნის პრეზენტაცია საკვირაო სკოლაში

17 მარტს, გაერთიანებული სამეფოს პირველ ქართულ სკოლას საქართველოდან ეწვია მწერალი, ჟურნალისტი, *Georgia Today*-ს რედაქტორი, ქართველების ინგლისელი რძალი ქეითი რუთ დეივისი. სტუმარს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სკოლის ელჩმა ნიკოლოზ კარტოზიამ, რომელმაც დარბაზს გააცნო სტუმრის მოკლე ბიოგრაფია, შემოქმედებითი გეგმები და ღონისძიების პროგრამა.

მწერალი თავისი ახალი წიგნით ესტუმრა ლონდონის ქართულ საზოგადოებას. ქართველ მოზარდებთან შეხვედრის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ავტორი თავად დაუკავშირდა სკოლის დამფუძნებელს, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანს და შესთავაზა ღონისძიების ორგანიზება.

თავის გამოსვლაში მწერალს არ გამორჩენია საქართველოსთვის ღირსშესანიშნავი თითქმის არცერთი მოვლენა. ლონდონის ქართული სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები მოხიბლა ინგლისელი ქალბატონის თვალით დანახულმა საქართველოს ისტორიამ და დღევანდელობამ. მას დიდი სიფაქიზითა და სითბოთი ქონდა შერჩეული თითოეული დეტალი - დაწვრილებით განმარტა წიგნის წარმოშობის ისტორია, გმირების ხასიათი, თუ რატომ შეარჩია მოქმედების ადგილად საქართველო, თუ როგორ ებრძვიან დემონებს ქართველი ყმაწვილები და როგორ დაეხმარა მათ მფარველი ანგელოზი. ავტორს, პრეზენტაციასთან ერთად, საინტერესო კითხვარიც ქონდა მომზადებული, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ასევე, მწერალმა ახალგაზრდებს მისცა შესაძლებლობა - მონაწილეობა მიეღოთ მისი მომავალი წიგნის ყდის გაფორმებაში.

## ორგანიზაცია „დიონისოს“ ახალი სპექტაკლი

18 მარტს, ქ. ათენში, ორგანიზაცია „დიონისომ“ კიდევ ერთი წარმატებული სპექტაკლი - „ქურდი სამოთხეში“ შესთავაზა ქართველ და ბერძენ მაყურებელს. ორგანიზაცია „დიონისოს“ ხელმძღვანელმა თამარ სამხარაძემ მადლობა გადაუხდა უფროსი თაობის ყველა მსახიობს თავდაუზოგავი შრომისთვის, ხოლო აქტიური მხარდაჭერისთვის - არასამთავრობო ორგანიზაციებს, დიასპორის წარმომადგენლებს და დამსწრე საზოგადოებას, ასევე, საქართველოს საელჩოს თანამშრომლებს.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

## ქართული პოეზიის საღამო ჰაგაში

21 მარტს, პოეზიის მსოფლიო დღეს, ჰაგაში საქართველოს საელჩოში, დიასპორის წარმომადგენლებისათვის ქართული პოეზიის საღამო გაიმართა, სადაც ნიდერლანდების სამეფოში მცხოვრებმა ქართველმა პოეტებმა მერი პაპუნაშვილმა და ზაზა მახვილაძემ საკუთარი ლექსები წაიკითხეს. დიდი ბრიტანეთიდან მიწვეულმა პოეტმა ხათუნა შავგულიძემ თავისი შემოქმედება გააცნო დამსწრე საზოგადოებას. ღონისძიებას, სპეციალურად მიწვეული სტუმრის სტატუსით, ბელგიისა და ნიდერლანდების სამეფოს ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე დოსითეოზი ესწრებოდა.

პოეზიის დღესასწაულის მონაწილეებს და მიწვეულ სტუმრებს საქართველოს ელჩი კონსტანტინე სურგულაძე მიესალმა, მადლობა გადაუხადა დიასპორის წარმომადგენლებსა და პოეტებს, რომელთაც მადლობის სიგელები გადასცა და წარმატება უსურვა შემოქმედებით საქმიანობაში. კონსტანტინე სურგულაძემ აღნიშნა, რომ 2018 წელს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საელჩოს მიერ ორგანიზებული ღონისძიებები ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნება.

## „ქართველი ქალების ღირსეული კვალი“ - მორიგი ღონისძიება თესალონიკის ლიტერატურულ საზოგადოებაში

22 მარტს, საბერძნეთში, თესალონიკის ლიტერატურული საზოგადოების „ქართული სულისა“ და მისი ხელმძღვანელის ლუიზა ტალახაძის ორგანიზებით, ლიტერატურულ სალონში გაიმართა რიგით მეოთხე შეკრება თემაზე „ქართველი ქალების ღირსეული კვალი.“ საღამოს ესწრებოდნენ თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული, თესალონიკში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლები, თესალონიკის ვაჟა-ფშაველას სახელობის საკვირაო სკოლისა და მუდანიის საკვირაო სკოლის ხელმძღვანელები.

ღონისძიებაზე ხაზი გაესვა ქართველი ქალის როლს საქართველოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, როგორც ისტორიული პირებისა და საზოგადო მოღვაწეების, ასევე ლიტერატურული პერსონაჟების მაგალითებზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო დამსწრეთა გამოსვლები თამარ მეფის, ქეთევან დედოფლის, მედეას, ცხრა ძმა ხერხეულიძის დედის, ვაჟა-ფშაველას სანათას, ჟურნალისტი ნაზი შამანაურის, მარო მაყაშვილის, ელენე ახვლედიანის, ვერიკო ანჯაფარიძისა და დები იშხნელების შესახებ. შეხვედრაზე, ასევე, გაიმართა დისკუსია თემაზე - „მიგრანტი ქალების ცხოვრება - მანკიერება თუ თავგანწირვა.“

## ქართული კუთხე La Grande Fete -ზე ვაშინგტონში

23 მარტს, ქ.ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში არსებულმა „ქართულმა ცენტრმა“ (Georgian Center), რომელსაც უკვე წლებია ვლად ბრეგვაძე ხელმძღვანელობს, აშშ-ში საქართველოს საელჩოსთან ერთად, საქართველო წარადგინა ფრანკოფონიის ფარგლებში გამართულ დასკვნით ღონისძიებაზე „La Grande Fete“, რომელსაც საფრანგეთის საელჩო ყოველწლიურად მასპინძლობს.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ღონისძიებაზე ქართული კუთხე წარდგენილი იყო ეროვნული სამოსის ნიმუშებით, საქართველოზე შექმნილი ვიდეო-კლიპებით, ქართული კერძებითა და ღვინით. ახლახანს შექმნილმა ქართველი მოცეკვავეების და მომღერლების ჯგუფმა შეასრულა სიმღერები, ქართული ცეკვები და საზეიმო საღამოზე ქართული ცეკვის ელემენტებით გაფორმებული flash mob-ით წარსდგა აუდიტორიის წინაშე.

## გერმანულ-ქართული მეგობრობის საღამო კიოლნში

24 მარტს, ქ. კიოლნში, „ქართულ-გერმანული წლის“ კულტურული ღონისძიებების ფარგლებში - „მომავლის მემკვიდრეობა“, გერმანულ-ქართული მეგობრობის საღამო გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა ქართველი და გერმანელი ხელოვანების ნამუშევრები, მოეწყო ფოტოსურათების, ხელნაკეთი ნიმუშების და სუვენირების გამოფენა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა მომღერალებმა ბერნის ერლიჰმა და პიანისტმა იოჰანეს გროტემ, ხოლო მუსიკალური ჯგუფი „ბრომო ბრაზერ მოვემენტი“ წარდგა გერმანული პოპ-ფოლკ მუსიკალური ნომრებით. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლმა „ოქროს საწმისი“, ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ჩვენებურები“ და ახალგაზრდა პიანისტმა ლიკა ბიბილეიშვილმა. საღამოზე მიწვეული იყო ქართველი მწერალი ლაშა ბუღაძე. მოეწყო მისი ახალი რომანის საჯარო განხილვა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული კერძები და ღვინო. საღამოს, რომლის ორგანიზატორი იყო ქ. კიოლნის ქართული დიასპორა, დაესწრო საქართველოს გენერალური კონსული ქ. მაინის ფრანკფურტში იოსებ ჩხიკვიშვილი.

## ბარსელონაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა

25 მარტს, ქ. ბარსელონაში გაიმართა ქართული კულტურული ცენტრის „EuroGeorgia Barcelona“ მიერ ორგანიზებული კონცერტი „ჩვენი საქართველო აქ არის“, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების და პირველი რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავს მიეძღვნა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს კულტურის ცენტრთან არსებულმა ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა - „საქართველო“, მომღერალთა ჯგუფმა - „თაობა“ და საქართველოდან მიწვეულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა - „მთიები“.

## მესხური კულტურის საღამო ათენში

25 მარტს, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიაში“, გაიმართა სამეცნიერო-შემოქმედებითი საღამო „მესხეთიდან ელადამდე“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს და საბერძნეთის ეროვნულ დღესასწაულს. საღამოს ორგანიზატორი და წამყვანი იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი მაია ქუქჩიშვილი. ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს არჩილ ტატუნაშვილის და საბერძნეთში გარდაცვლილი პოეტის, სოფო ქარელის ხსოვნას. საღამო გახსნა მასპინძელმა, განათლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიის“ დირექტორმა ავთანდილ მიქაბერიძემ.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

მსმენელებისათვის საინტერესო აღმოჩნდა მესხური დიალექტი და მასზე შექმნილი თანამედროვე პოეზია, მრავალფეროვანი მოხსენებები, მათ შორის, მესხური ფოლკლორის და ტრადიციული სამზარეულოს შესახებ. ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო ლიტერატურული ჟურნალის „არავის“ პრეზენტაციას. ჟურნალს გამოსცემს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მის ფურცლებზე, სხვადასხვა საინტერესო პუბლიკაციებთან ერთად, პერიოდულად ქვეყნდება ქართველ ემიგრანტთა შემოქმედება და ინფორმაცია კულტურისა და საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

## ქართული დელეგაციის სამუშაო ვიზიტი საბერძნეთში

26-28 მარტს, ქ. ათენში, შედგა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ზვიად გონაძისა და საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ზვიად კვაჭანტირაძის ვიზიტი. ქართული დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი რატი ბრეგაძე, ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ვარლამ ბაძაღუა და საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ტაბატაძე. 27 მარტს გაიმართა ქართული დელეგაციის შეხვედრა საბერძნეთის რესპუბლიკის პარლამენტში.



ბერძნული მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნული თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრიოს ემანუილიდისი, დიასპორის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე სავას ანასტასიადისი, საბერძნეთის პარლამენტში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე გიორგიოს აკრიოტისი, მისი მოადგილეები გეორგიოს კასაპიდისი და გეორგიოს დიმარასი. შეხვედრაზე ხაზი გაესვა საბერძნეთსა და საქართველოს შორის არსებულ მრავალსაუკუნოვან მჭიდრო ისტორიულ და კულტურულ კავშირებს. აღინიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების პოზიტიური დინამიკა და ხაზი გაესვა საპარლამენტო თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას, როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო დიასპორის საკითხებს, ორ ქვეყანას შორის არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო-სამეცნიერო ურთიერთობებს და მათი შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებს. ქართულმა მხარემ ბერძენ კოლეგებს ქართული დიასპორის წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები გააცნეს, ხოლო შეხვედრის დასასრულს, ქართული დელეგაციის წევრებმა მადლობა გადაუხადეს მასპინძელ მხარეს საბერძნეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების საპილოტე პროექტის მხარდაჭერისთვის.

## „ლეგალური მიგრაციის გზამკვლევის“ პრეზენტაცია ათენში

27 მარტს, ქართული დელეგაცია დაესწრო საქართველოს საელჩოს მიერ ინიცირებული, საერთაშორისო ორგანიზაცია ICMPD-ის, საბერძნეთის მიგრაციის პოლიტიკის სამინისტროსა და საბერძნეთის სახალხო დამცველის ჩართულობით, საბერძნეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ლეგალიზაციის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში მომზადებული პრაქტიკული გზამკვლევის პრეზენტაციას, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია საბერძნეთის საემიგრაციო კანონმდებლობის შესახებ და საბერძნეთში მოქმედ ქართველ იურისტთა პრაქტიკული გამოცდილების შესახებ.

ღონისძიებას, რომელიც ორგანიზებული იყო საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის იოსებ ნანობაშვილისა და საელჩოს მიერ, მასპინძლობდა ათენის ვებსტერის უნივერსიტეტი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

## ქართული დელეგაციის სამუშაო შეხვედრები საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში

28 მარტს, ათენში, გაიმართა შეხვედრა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან დიასპორის საკითხებში ტერენს ნიკოლაოს ქუიქთან, რომელმაც ხაზი გაუსვა უკანასკნელ პერიოდში საბერძნეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების განსაკუთრებულ გააქტიურებას. თავის მხრივ, ქართულმა მხარემ ბერძენ კოლეგებს გააცნო ქართული დიასპორის წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები და საქართველოს მთავრობის მიერ ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯები. ასევე, საუბარი შეეხო სახელმწიფოს მხრიდან ქართულ დიასპორასთან ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაციის პროცესს.

ასევე 28 მარტს, შედგა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის რატი ბრეგაძის, მისი მოადგილის ვარლამ ბაძაღუას, ამავე დეპარტამენტის თანამშრომლების, საერთაშორისო ორგანიზაცია ICMPD-ის, მიგრაციის საკითხთა

სამთავრობო კომისიის და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლების შეხვედრა საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზღვარგარეთ მცხოვრებ ბერძენთა გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელთან მიხეილ კოკინოსთან, რომელმაც ქართულ მხარეს გააცნო გენერალური სამდივნოს საქმიანობა და გაუზიარა ორგანიზაციის 30 წლიანი ფუნქციონირების მანძილზე დაგროვილი მრავალფეროვანი გამოცდილება. ბერძნული მხარე მიესალმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინიციატივებს და გამოთქვა მზადყოფნა ორმხრივი

თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით. საუბარი ასევე შეეხო ორ მეგობარ სახელმწიფოს შორის, მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, სხვადასხვა მიმართულების ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, გამოცდილების გაზიარებას სახელმწიფო ენის სწავლებისა და საკვირაო სკოლების, საზაფხულო ბანაკების მხარდაჭერის პროგრამების გათვალისწინებით.

## ქართული დელეგაციის სამუშაო შეხვედრა ათენის ვიცე-მერთან

28 მარტს, ათენში, შედგა დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის რატი ბრეგაძის, მისი მოადგილის ვარლამ ბაძაღუას, ამავე დეპარტამენტის და საქართველოს საელჩოს თანამშრომლების, საერთაშორისო ორგანიზაცია ICMPD-ის და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წარმომადგენლების შეხვედრა ქალაქ ათენის ვიცე-მერთან ლეფტერის პაპაგიანაკისთან.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ემიგრანტთა უფლებები, სოციალური დახმარების და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, ცხოვრების უფლების, სავალდებულო რეგისტრაციისა და ლეგალური სამუშაო ნებართვის მოპოვების საკითხები. მხარეებმა ასევე ისაუბრეს მიგრანტთა ინტეგრაციის სტრატეგიის მნიშვნელობაზე, მიგრანტთა ინტეგრაციის საბჭოსა და მიგრანტთა ინტეგრაციის ცენტრის საქმიანობაზე ათენში, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ენის სწავლების უფასო კურსებზე, იურიდიულ კონსულტაციებსა და სოციალურ დახმარებებზე.

# მარტის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

## შეხვედრები ათენში მოქმედ დიასპორულ ორგანიზაციებთან

29 მარტს, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლები, ICMPD-ის და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წარმომადგენლები დიასპორული ორგანიზაცია - კულტურის ცენტრ „კავკასიის“ წევრებს და ხელმძღვანელს ავთანდილ მიქაბერიძეს შეხვდნენ. ავთანდილ მიქაბერიძემ დეტალურად გააცნო სტუმრებს მოქმედი და დაგეგმილი პროექტები, ცენტრის და მასთან არსებული სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციების მრავალწლიანი გამოცდილება.

30 მარტს, დელეგაციის წევრები შეხვდნენ ქართულ-ბერძნული კულტურული ასოციაციის და ქართველ ემიგრანტთა საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელებს და წარმომადგენლებს. ქართველი ემიგრანტების მიერ განსაკუთრებული ხაზგასმით და მადლიერებით აღინიშნა ის დახმარებები, რასაც წლების მანძილზე იღებდნენ და იღებენ როგორც საკვირაო სკოლის და ბიბლიოთეკის, ისე ფოლკლორული და მუსიკალური ანსამბლებისთვის. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში, ათენში მოქმედ ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებს და საკვირაო სკოლებს საჩუქრად გადაეცათ ქართული მუსიკალური საკრავები და სასკოლო სახელმძღვანელოები.

## სემინარი - „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში“

31 მარტს, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და საკონსულოს, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს ICMPD-ის მიერ ქართული დიასპორული ორგანიზაციებისათვის დაგეგმილ სემინარში „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში“, რომელიც 2017-2020 წლების პროგრამის ეგიდით, 3 მიზნობრივად შერჩეულ ქვეყანაში - საბერძნეთში, იტალიასა და ესპანეთში ჩატარდება.

სემინარზე განხილული მრავალფეროვანი თემატიკიდან, დიასპორის წევრების მხრიდან, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ინფორმაციამ ჯანდაცვის, იურიდიული სერვისების, განათლების, მოქმედი ბიზნეს-პროგრამების და საგრანტო პროექტების შესახებ, დიასპორული ორგანიზაციების და საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროექტებმა, ასევე, ინტერდიასპორული ღონისძიებების, ბერძნული და ქართული ქალაქების დამეგობრების პროგრამებმა.

სემინარის დასასრულს, საერთაშორისო ორგანიზაციის ICMPD-ის წარმომადგენელმა, მაგდა საბადელომ მონაწილეებს შეხვედრის შემაჯამებელი დასკვნა გააცნო და მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი და საინტერესო თანამშრომლობისათვის.

## ანონსი

20 მაისს, ქ. მიუნხენში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციის - „გერმანიის ქართული სათვისტომოს“ ორგანიზებით, გაიმართება მერვე საქალაქთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელსაც ამჯერად ქალაქი კაიზერსლაუტერნი უმასპინძლებს. ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისგან დაკომპლექტებულ, 6 მოთამაშისგან შემდგარ გუნდებს. ტურნირში გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა „გერმანიის ქართული სათვისტომოს“ გარდამავალი თასი.

*დიასპორასთან ურთიერთობის*

*დეპარტამენტი*

*შ. ჩიტაძის ქ.4*

*თბილისი, 0118*

*ტელ:*

*(+995 32) 2945000*

*ფაქსი:*

*(+995 32) 2945001*

*ელ. ფოსტა*

**diaspora@mfa.gov.ge**

*/mfageorgia/*

*/MFAgovge*
*/janelidzeMkh*

*/MFA Geo*

*www.mfa.gov.ge*